



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 12 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №18/19  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- 2019 წლის 31 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 5 მარტის №86/18-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 29 მარტს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

1.1. საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას ხდის სადავოდ.

1.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე არის მიკერძოებული. იგი ექვს გამოთქვამს რომ მოსამართლის მიკერძოებული ქმედება შეიძლება დაკავშირებული იყოს --- იურისტის საქმიანობასთან, ვინაიდან მის მოწინააღმდეგე მხარეებს ამ ბანკის ორგანიზაცია --- მიჰყიდა ბინა და ადვილი შესაძლებელია მოსარჩელებმა საქმის წაგების შემთხვევაში მას წაუყენონ პრეტენზიები.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2.1. 2016 წლის 22 დეკემბერს --- და --- სარჩელით მიმართეს --- სასამართლოს, მოპასუხის - --- მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით. 2017 წლის 14 თებერვალს მოპასუხებმა სასამართლოში წარადგინა შესაგებელი. სასამართლო სხდომები გაიმართა 17.07.2017; 02.08.2017; 27.09.2017; 04.10.2017 წწ პერიოდებში.

2017 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებით --- და --- სარჩელი დაკმაყოფილდა.

2.2. 2017 წლის 14 ნოემბერს --- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ნაწილში. 2017 წლის 17 ნოემბერს --- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში. --- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის განჩინებით --- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა --- სასამართლოს 2017 წლის 4 ოქტომბრის

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტი, რომლითაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი გადაეცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

2017 წლის 25 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული. 2018 წლის 19 ივლისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2017 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება; არ დაკმაყოფილდა -- -- და -- -- შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ.

2.3. 2018 წლის 21 სექტემბერს -- -- საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 29 მარტის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის მიხედვით, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული დაგაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

ამდენად, მოსამართლე მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. განჩინების და გადაწყვეტილების მიღება ხდება მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, ხოლო მისი შეფასება და კანონიერებაზე მსჯელობა მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებას საერთო სასამართლოები ახორციელებენ. მართლმსაჯულების განხორციელება, თავისთავად, გადაწყვეტილებათა გამოტანასაც გულისხმობს. მხარეთა მოთხოვნების მართებულობასა და კანონიერებას სასამართლო წყვეტს და მხარე რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილება არაკანონიერია.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 29 მარტის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

-- -- №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ გადაწყვეტილების კანონიერების ნაწილში.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**